

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ვერტექსი“

ს/ნ 412757672

შპს ვერტექსი - ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	269036	6595	106992
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	35500		15000
მარაგები	278513	5680	77698
დაუმთავრებელი წარმოება	830904	1916670	898784
მზა პროდუქცია	191910		
სულ მოკლევადიანი აქტივები	1605863	1928945	1098474
გრძელვადიანი აქტივები			
მიწა	612900	1229260	648868
შენობა-ნაგებობები	779770	102315	8872
სხვა ძირითადი საშუალებები	38301	20606	6682
სხვა გრძელვადიანი აქტივები	3201	293100	49370
სულ გრძელვადიანი აქტივები	1434172	1645281	713792
სულ აქტივები	3040035	3574226	1812266
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	718	7971	2185
გამოუმუშავებელი შემოსავალი	256760	2064405	464155
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	257478	2072376	466340
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ანარიცხები	4780	1328	1857
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1941551	836108	915508
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	648868	648868	648868
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2595199	1486304	1566233
სულ ვალდებულებები	2852677	3558680	2032573
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	600000	600000	56500
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-412642	-584454	-276807
სულ საკუთარი კაპიტალი	187358	15546	-220307
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3040035	3574226	1812266

დირექტორი: /ნ. მაღლაკელიძე/

ბუღალტერი: /ზ. სილვესტროვა/



საქმიანობის შედეგები

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	2166587	5085	-
საქონლის გაყიდვიდან	2166587	-	-
მომსახურების გაწევიდან	-	5085	-
გაყიდვების თვითღირებულება	-1841253	-	-
საერთო მოგება	325334	5085	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	-276442	-243342	-167578
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-5016	-1935	-945
საპროცენტო ხარჯი	-24072	-62979	-37502
იჯარის ხარჯი	-	-2750	-2250
სარეკლამო ხარჯი	-3585	-5638	-3729
საბანკო ხარჯი	-15226	-3338	-2798
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-64030	-18376	-13077
სულ საოპერაციო ხარჯები	-388371	-338358	-227879
საოპერაციო მოგება	-63037	-333273	-227879
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით			
ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	235665	27068	-49368
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-816	-1442	440
მიღებული დივიდენდები	0	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	171812	-307647	-276807
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	171812	-307647	-276807

დირექტორი: /ნ. მაღლაკელიძე/

ბუღალტერი: /ბ. სილვესტროვა/



ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი ნაკადები	748928	1600110	464155
ფულადი სახსრების შემოსვლა პარტნიორებისგან	415534	707407	56500
ფულადი სახსრების შემოსვლა ბანკებისგან	929657	—	915508
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე (დადებითი)	—	29986	—
ფულადი სახსრების შემოსვლა	2094119	2337503	1436163
გადახდები მიწის შესაძენად	—	580392	—
გადახდები საქონლის/მომსახურების მომწოდებლებზე	1365755	1063151	1059175
გადახდილი ხელფასი	264458	239631	156669
გადახდილი კრედიტი	—	243307	—
გადახდილი პროცენტი	24072	62979	37502
გადახდილი გადასახადები	96636	219386	5370
გადახდილი ანარიცხები	12734	12635	11950
გადახდილი იჯარა	—	1800	1800
სარეკლამო ხარჯი	3585	5638	3729
საბანკო ხარჯი	15226	3338	2798
სხვა ხარჯი	45128	5643	2310
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე (უარყოფითი)	4084	—	47868
ფულადი სახსრების გასვლა	1831678	2437900	1329171
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	6595	106992	—
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	269036	6595	106992

დირექტორი: /ნ. მაღლაკელიძე/

ბუღალტერი: /ზ. სილვესტროვა/



ნ. მაღლაკელიძე
ზ. სილვესტროვა

კაპიტალის მოძრაობა

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
კაპიტალის გაზრდა	-	543500	56500
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	171812	-307647	-276807
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	-	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	15546	-220307	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	187358	15546	-220307

დირექტორი: /ნ. მაღლაკელიძე/

ბუღალტერი: /ზ. სილვესტროვა/



დირექტორი
ბუღალტერი

1. კორპორატიული ინფორმაცია.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვერტექსი“ დაარსდა და გადასახადის გადამხდელად ირიცხება 2021 წლის 16 თებერვლიდან და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 412757672.

მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, ქუთაისი, მიხეილ ბუხაიძის ქუჩა, N 4ე, სართული 2, ფართი N2.

ხელმძღვანელობა / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი - ნოდარი მაღლაკელიძე (პ/ნ 60001010306), საქართველო.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები:

დავით ბობოხიძე / 60101172526 /ყაზახეთი/ 45%

ავთანდილ ბობოხიძე / 60201172608 /ყაზახეთი/ 45%

ნოდარი მაღლაკელიძე / 60001010306 10%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

F.41.20.0 საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა

F.43.12.0 მოსამზადებელი სამუშაოები სამშენებლო მოედანზე

F.43.29.0 სხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები

დღგ-ს გადამხდელი 16.02.2021-დან.

საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს.

2. მომზადების საფუძველი.

ორგანიზაციის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „ბასსს“ მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების „მსს ფასს“-ის მიხედვით.

საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგება შედგენილია „ბუღალტრული ღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონისა და „სუბიექტების მიერ ანგარიშგებების წარდგენის, მესამე კატეგორიის საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების გამარტივებული სახით წარდგენის, წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების, ანგარიშგების პორტალის სტრუქტურისა და მომხმარებელთა რეგისტრაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 სექტემბრის N6-15 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.

საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა.

3.1. საწარმოს საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი.

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით.

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	269036	6595	106992

3.2. სავაჭრო მოთხოვნები წარმოქმნილია მომხმარებლისათვის საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან. ასევე მოიცავს მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს. კომპანია არ აღიარებს სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურების რეზერვს, რადგან არ გააჩნია მისაღებ თანხებთან დაკავშირებული დანაკარგების გამოცდილება. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკის და სარგებლის კომპანიიდან გასვლა.

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	35500	-	15000

3.3. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით. მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ძირითად საქმიანობაში გამოყენებული სამშენებლო მასალები. გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის „კომპანია“ იყენებს „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდს.

მზა პროდუქციას წარმოადგენს სარეალიზაციოდ განკუთვნილი ბინები და საპარკინგე ადგილები.

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
მარაგები	278513	5680	77698
დაუმთავრებელი წარმოება	830904	1916670	898784
მზა პროდუქცია	191910	-	-

3.4. ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებები:

- მიწა;
- შენობა-ნაგებობა - სასარგებლო მომსახურების ვადა 10 წელი;
- მსუბუქი ავტომობილი - სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელი;
- ინვენტარი - სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელი.

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
მიწა	612900	1229260	648868
შენობა-ნაგებობები	770670	102315	8872
სხვა ძირითადი საშუალებები	38301	20606	6682

3.5. სავაჭრო ვალდებულებები მოკლევადიანი ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა არ აღემატება 12 თვეს.

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო ვალდებულებები	718	7971	2185

3.6. გამოუმუშავებელი შემოსავალი წარმოადგენს მიღებულ ავანსებს ბინების რეალიზაციიდან.

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
გამოუმუშავებელი შემოსავალი	256760	2064405	464155

3.7. გრძელვადიან ვალდებულებებს წარმოადგენს ბანკებისგან და პარტნიორებისგან მიღებულ სასესხო ვალდებულებები.

მიღებული ბიზნეს სესხი 15.02.2023წ. სასესხო ხელშეკრულების N17069709. სესხის ვადა - 5 წელი. საპროცენტო განაკვეთი - 8,5%. ვალუტა - აშშ დოლარი.

მიღებული ბიზნეს სესხი 29.09.2023წ. სასესხო ხელშეკრულების N19764880.2. სესხის ვადა 3 წელი. საპროცენტო განაკვეთი 8,5%. ვალუტა - აშშ დოლარი.

მიღებული დეველოპერული სესხი 29.09.2023წ. სასესხო ხელშეკრულების N19764880. სესხის ვადა 3 წელი. საპროცენტო განაკვეთი 8,5%. ვალუტა - აშშ დოლარი.

ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტი აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში პერიოდის საპროცენტო ხარჯად.

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
პარტნიორებისგან ნასესხები სახსრები	579441	163908	—
ბანკებისგან ნასესხები სახსრები	1362110	672200	915508
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები (მიწის საფასური)	648868	648868	648868

3.8. საკუთარი კაპიტალი მოიცავს კომპანიის საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგება/ზარალს.

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
კაპიტალი	600000	600000	56500
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-412642	-584454	-276807

3.9. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. კომპანია შემოსავალს აღიარებს დაპირებული საქონლის და მომსახურების მომხმარებლებისათვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით რომლის მიღების უფლებაც აქვს კომპანიას ან მოელის ამ საქონლის და მომსახურების გაცემის სანაცვლოდ.

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	2166587	—	—
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	—	5085	—
გაყიდვების თვითღირებულება	-1841253	—	—
დასაქმებულთა ანაზღაურება	-276442	-243342	-167578
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-5016	-1935	-945
საპროცენტო ხარჯი	-24072	-62979	-37502
იჯარის ხარჯი	—	-2750	-2250
სარეკლამო ხარჯი	-3585	-5638	-3729
საბანკო ხარჯი	-15226	-3338	-2798
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-64030	-18376	-13077

ხარჯების აღიარება ხდება გაწევისთანავე მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისაგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

3.10. არასაოპერაციო შემოსავლებში და ხარჯებში აღირიცხება სავალუტო კურსის ეფექტი და სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები.

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	235665	27068	-49368
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-816	-1442	440

3.11. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება როგორც საგადასახადო აქტივები.

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
სხვა გრძელვადიანი აქტივები	3201	293100	49370

დირექტორი: /ნ. მაღლაკელიძე/

ბუღალტერი: /ზ. სილვესტროვა/

